პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, ერთიდით!

კომუნისტი

№ 223 (12735)
სამშაბათი,
24
სექტემბერი,
1963 წ.
გამოცემის 44-ე წელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

ვემსახუროთ ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეებს

ხუთი კონტინენტის ჟურნალისტთა შეხვედრის მონაწილეებს

მხურვალედ მივესალმები ხუთი კონტინენტის — ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის ჟურნალისტთა III მსოფლიო შეხვედრის მონაწილეებს, რომლებიც შეიკრიბნენ იმისათვის, რომ განიხილონ საარსებო პოლიტიკური და პროფესიული პრობლემები. გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, კეთილნაყოფიერ მუშაობას თქვენი რიგების თანამშრომლობის განვითარებისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის.

კაცობრიობა შესანიშნავ დროში ცხოვრობს. გადაიდგა პირველი ნაბიჯი თერმოატომური ომის საშიშროების თავიდან აცილების გზაზე, დაიდვა მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. კაცობრიობამ შვებით ამოისუნთქა, ხალხები მიესალმებიან ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას საერთაშორისო ვითარებას რომ წვენდს. მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ მსოფლიო უშფოთველად ცხოვრობდეს, რომ გადაჭრილი იყოს ყველა სადავო საკითხი. მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან ძრეები, ესენი არიან უწინარეს ყოვლისა აგრესიული იმპერიალისტური წრეები, რომლებსაც არ უარუყვიათ ის აზრი, რომ კაცობრიობას თავს დაატეხონ ახალი მსოფლიო ომი. ხალხები ფიზიზლად უნდა იყვნენ, რათა თავიდან აიცილონ მსოფლიო თერმოატომური კატასტროფა.

ამ ჭეშმარიტად დიად საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ჟურნალისტებმა. თქვენს ხელშია მრისხანე იარაღი — სიტყვის იარაღი, რითაც შეგიძლიათ ლაზვარი ჩასცეთ მშვიდობის მტრებს, „ცოფიანებს“ და ყველა ჯურის ავანტიურისტებს, რომლებიც მზად არიან სასწორზე დადონ ხალხთა ბედი.

თქვენ პირველად ხვდებით ერთმანეთს აფრიკაში, ალჟირის მიწაზე, რომლის ხალხმა თავისი გმირული ბრძოლით თავისუფლებისათვის მთელი პროგრესული კაცობრიობის სიმპათიები და მხარდაჭერა მოიხვეჭა. თქვენი შეხვედრის მონაწილეთა შორის ბევრია აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების ჟურნალისტები, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ. მოხარული ვარ გადავცე მათ და მათი საშუალებით ამ კონტინენტების ხალხებს საბჭოთა ადამიანების გულითადი სალამი. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტთა და კოლონიზატორთა წინააღმდეგ, კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციისათვის, ახალგაზრდა განვითარებადი ქვეყნების ჭეშმარიტი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. საბჭოთა კავშირის მთელი სიმპათიები, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს, ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების მხარეზეა. ყოველი ღონით დავეხმარებით მათ კოლონიური უღლისაგან საბოლოოდ განთავისუფლებაში. საბჭოთა კავშირი სავსებით მხარს უჭერს ხალხთა სამართლიან ბრძოლას ახალი ცხოვრებისათვის.

პრესას, რადიოსა და ტელევიზიას პასუხსაგები როლი ეკუთვნის საზოგადოებაში. დაე პროგრესულ ჟურნალისტთა დროშა ყოველთვის იყოს ცხოვრების სიმართლე, მშვიდობისა და თავისუფლების კეთილშობილური იდეალები, ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხთა მეგობრობა, ადამიანის შრომის ინტერესები, ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეებისადმი ერთგული სამსახური.

ნ. ხრუშჩოვი.

1963 წლის 22 სექტემბერი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

III

უკანასკნელ დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები საკმაოდ ხშირად არიან იულებული გაიმართოლონ თავი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ წაყენებული სამართლიანი ბრალდების გამო, რომ თავიანთი პოლიტიკით ისინი ისე წარმართავენ საქმეს, რომ გაამწვავონ საერთაშორისო დაძაბულობა, თერმოატომური ომისაკენ უბიძგებენ მსოფლიოს. და 1 სექტემბრის განცხადებაშიც ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილობენ დაამტკიცონ, ვითომ ისინი არასოდეს არ გამოდიოდნენ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წინააღმდეგ, პირიქით, ომის თავიდან აცილების ყველაზე მხურვალე მომხრეები არიან.

ჩინეთის ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული ასეთი აზრები მისასალმებელი იქნებოდა, სინამდვილეში რომ ისინი ნიშნავდეს შემობრუნებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხედულებებში ომისა და მშვიდობის საკითხებზე და მათს პოლიტიკაში მსოფლიო ასპარეზზე. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი არც კი აპირებენ ასეთ შემობრუნებას, და წინადებურად იცავენ თავიანთ მცდარ კონცეპციას ომისა და მშვიდობის საკითხებში, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სერიოზული შედეგები ხალხთა უშიშროებისათვის. განსხვავება იმას შორის, რასაც ახლა ამბობენ და რასაც წინათ ამბობდნენ მხოლოდ ის არის, რომ ახლა ცდილობენ კიდევ უფრო შენიღბონ თავიანთი ნამდვილი პოზიცია, შენიღბონ იგი სიტყვებით მშვიდობისმოყვარეობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ისწრაფვიან დაიცვან მშვიდობა.

მაგრამ, განცხადების ავტორებს, რომლებიც უარყოფენ ყველაფერს იმართლებენ, კიდევ უფრო რევათ თავგზა და წარმოშობენ ახალ ეჭვებს ომისა და მშვიდობის პრობლემისადმი ჩინეთის ხელმძღვანელობის ნამდვილი დამოკიდებულების გამო.

მართლაც, რის დამტკიცებას ცდილობენ ისინი? თითქოს საბჭოთა დოკუმენტებში გამოყენებულია კონტექსტიდან ამოგლეჯილი და არასწორად განმარტებული ციტატები მაო ძე-დუნის მიერ გამოთქმული აზრებიდან იმის შესახებ, რომ მომავალ ომში დაიღუპება არა მთელი, არამედ ნახევარი კაცობრიობა, და ჟურნალ „ხუნციში“ გამოქვეყნებული ცნობილი სტატიიდან „გაუმარჯოს ლენინიზმს!“ „მშვენიერი პერსპექტივების“ შესახებ, რომლებიც თითქოს დაესახება კაცობრიობას თერმოატომური ომის შემდეგ.

რა გაეწყობა, ჩვენ მზადა ვართ განვიხილოთ საკითხი იმაზე, თუ ვინ ამახინჯებს და სწორად არ განმარტავს ორივე ციტატს, — ამას ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

მაგრამ ნუთუ განცხადების ავტორები არ ხედავენ, რომ ამრიგად მთლიანად ამხილებენ თავიანთ თავს, კი ვერ უარყოფენ, არამედ მხოლოდ ერთხელ კიდევ ადასტურებენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისა და პროგრესული საზოგადოებრიობის უაღრესად დიდ შეშფოთებას ომისა და მშვიდობის საკითხებში ჩინეთის ხელმძღვანელობის პოზიციის გამო. რაზე მსჯელობენ ისინი? არსებითად, იმაზე, კაცობრიობის რა ნაწილი დაიღუპება ახალი მსოფლიო ომის შემთხვევაში — 100 პროცენტი თუ მხოლოდ ნახევარი. განცხადებაში ნათქვამია: „ამხანაგ მაო ძე-დუნის სიტყვები, რომლებიც მან 1957 წელს წარმოთქვა და რომლებიც ზემოთ არის მოყვანილი, გამოთქმულია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ამტკიცებენ, ვითომ იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალიზმი ატომურ ომს დაიწყებს, დაიღუპება კაცობრიობა“. „ჩვენ, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში,— არ ვეთანხმებით მათს ასეთ პესიმისტურ და სასოწარკვეთილებით აღსავსე შეხედულებებს. ჩვენ ვამბობთ, რომ თუ იმპერიალიზმი დაიწყებს ატომურ ომს, უკიდურეს შემთხვევაში ეს გამოიწვევს დედამიწის ნახევარი მოსახლეობის დაღუპვას“. და დასასრულ: „ჩვენ გვწამს კაცობრიობის ნათელი მომავალი“.

ეს მსჯელობა ჭეშმარიტად საზარელია. რა „მშვენიერ მომავალზე“ შეიძლება ლაპარაკი, როცა მხედველობაშია ნახევარი კაცობრიობის განადგურების პერსპექტივა! არანაკლებ საშიშია სხვა რამეც: მოყვანილ პროგნოზებს ომის შესაძლო შედეგების შესახებ ჩინეთის ხელმძღვანელები აკეთებენ არა მარტო იმ სურვილით, რომ გონების თვალით განჭვრიტონ მომავალი, არამედ იმისათვის, რომ დასაბუთონ გარკვეული პოლიტიკა.

ამას არ უარყოფენ თვით განცხადების ავტორებიც. აჯამებენ რა იმის გამო დავის შედეგს, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპება თერმოატომური ომის ცეცხლში, ისინი წერენ: „არსებითად საკითხი განისაზღვრება იმით, თუ, ბოლოს და ბოლოს, რა პოლიტიკა უნდა განვახორციელოთ ამერიკის იმპერიალიზმის ატომური მანტაჟისა და ატომური მუქარის წინაშე — გავუწიოთ წინააღმდეგობა თუ მოვახდინოთ კაპიტულაცია?“. რა თქმა უნდა, არც ერთ საბჭოთა ხელმძღვანელს არასოდეს არ აღუძრავს და არც შეეძლო აღეძრა საკითხი კაპიტულაციის შესახებ. ამისათვის როდი შექმნა და სრულყოფს საბჭოთა კავშირი უდიდეს ატომურ ძლიერებას. არ არის და არ შეიძლება იყოს ეჭვი, რომ, თუ იმპერიალისტი აგრესორები დაესხმიან თავს სოციალიზმის ბანაკს, მათ აგემებენ გამანადგურებელ დარტყმას.

საკითხი სხვანაირად დგას: საჭიროა თუ არა სერიოზულად და მთელი ძალებით ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, უნდა ვიხელმძღვანელოთ თუ არა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპით, როგორც საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზით, თუ ავყვეთ „ცოფიანთა“ ნება-სურვილს. შევეჯიბროთ იმპერიალისტებს საერთაშორისო დაძაბულობის გადიდებაში? და ამ საკითხის გადაჭრის დროს ჩინეთის ხელმძღვანელები მსჯელობენ, ნახევარი კაცობრიობა თუ კაცობრიობის 100 პროცენტი მოისპობა ახალი ომის ცეცხლში. და თუ „მხოლოდ“ ნახევარი — გამოდის, რომ შეიძლება გავწიოთ ომის რისკი, რადგან მეორე ნახევარს მშვენიერი მომავალი მოელის?

საკითხი რომ სწორედ ასე ისმება, ამაში გვარწმუნებს აგრეთვე მაო ძე-დუნის მიერ გამოთქმული აზრი იმ პრეპარირებული სახითაც, როგორითაც იგი მოყვანილია ჩინეთის მთავრობის 1 სექტემბრის განცხადებაში: („...უკიდურეს შემთხვევაში დაიღუპება ნახევარი კაცობრიობა, დარჩება კიდევ ნახევარი. სამაგიეროდ იმპერიალიზმი აღიგვება პირისაგან მიწისა და მოხდება მსოფლიოს სოციალიზაცია“). ამ მხრივ არანაკლებ მჭევრმეტყველურია ჟურნალ „ხუნციდან“ მოყვანილი ციტატიც, რომელსაც სადავოდ ხდის განცხადება, — იმის შესახებ, რომ ომის შემთხვევაში გამარჯვებული ხალხები „უაღრესად სწრაფი ტემპებით შექმნიან დაღუპული იმპერიალიზმის ნანგრევებზე ათასჯერ უფრო მაღალ ცივილიზაციას“.

კომუნისტებისათვის სრულიად შეუწყნარებლად მიგვაჩნია აწარმოონ დავა ისეთ პოზიციებზე, როცა გვთავაზობენ ვაშენოთ პოლიტიკა იმის მიხედვით, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპება თერმოატომურ კატასტროფაში — ნახევარი თუ მთელი კაცობრიობა. ჩვენთვის, მარქსისტ-ლენინელებისათვის, ძვირფასია ყველა ხალხის ბედი. ჩვენ სრულად ვითვალისწინებთ, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე ატომური იარაღი, და ამიტომ აბსურდულად და უპასუხისმგებლოდ მიგვაჩნია პროგნოზები მსხვერპლთა რაოდენობაზე მომავალ ომში, რასაც ეწევიან ჩინეთის ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალღონე მოახმარონ ბრძოლას ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის. თუ კომუნისტები, მშვიდობისათვის მებრძოლები, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები შეურიგდებიან იმას, რომ ჩამოცვივდეს ატომური ბომბები, მაშინ საკითხი, რამდენი ადამიანი დაიღუპება და რამდენი გადარჩება, აღარ იქნება დამოკიდებული მთავრობებსა და პოლიტიკურ პარტიებზე. მას გადაჭრის სამხედრო ტექნიკა, ომის განვითარების ლოგიკა, იმ ქვეყნებისა და ხალხების რაოდენობა, რომლებიც არმოჩნდებიან ატომური იარაღის პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების სფეროში.

ჩინეთის ხელმძღვანელები, რომლებიც ცდილობენ დაამახინჯონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნათელი პოზიცია ატომური ომის და მისი შედეგების საკითხში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს მიაწერენ განცხადებას, რომელიც მან თითქოს გააკეთა მოძმე პარტიების ბუქარესტის თათბირზე, იმის შესახებ, რომ ჩვენს დროში, როცა არის ატომური იარაღი, „სახალხო ლაშქარი არმია კი არა, ცარიელი ხორცია“, გამოიგონეს რა ასეთი უაზრობა, განცხადების ავტორებს აქვე გამოაქვთ გასაშტერებელი დასკვნა: „საბჭოთა ხელმძღვანელების თვალში დედამიწის მთელი სამმილიარდიანი მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ უსარგებლო ნარახურაა“.

რომელი ადამიანი, რომელმაც იცის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მაღალი ჰუმანიზმი, ჩვენი ბრძოლა ხალხთა ბედისათვის, დაიჯერებს ამ მონაჭორს? სინამდვილეში ნ. ს. ხრუშჩოვმა შემდეგი განაცხადა:

„დაე ამხანაგ ჩინელებს ნუ ეწყინებათ, თქვენ, რა თქმა უნდა, ომის დიდი გამოცდილება გაქვთ, მაგრამ უმთავრესად პარტიზანული ომისა. ჩვენ კი გამოვიარეთ უფრო სერიოზული, ისე ვთქვათ, კლასიკური ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. იმპერიალისტ სტრატეგებს ახლა მიაჩნიათ, რომ დივიზიები საზარბაზნე ხორცია, ისინი ახლა უკვე სხვა რამეს ანგარიშობენ: ვის რამდენი წყალბადის ბომბი, საბრძოლო თვითმფრინავი აქვს. თუ წინათ აუცილებელი იყო მწყობრიდან მტრის გამოყვანა ხიშტით, ახლა ბომბებს ჩამოყრიან“. აი რა ითქვა ბუქარესტში. რა კრამოლა დაინახეს აქ ჩინეთის ხელმძღვანელებმა?

ჩინელმა თეორეტიკოსებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი „მშვენიერი მომავლის“ თავიანთი რეცეპტის დასაბუთებას. ისინი იმასაც კი ცდილობენ, რომ დაასაბუთონ რაღაც კანონი, რომლის თანახმად რაც უფრო მეტი ადამიანი დაიღუპება, მით უკეთესია რევოლუციის საქმისათვის. „ყველა ჯურის რეაქციონერები ცდილობდნენ რევოლუცია მოესპოთ ტერორის გზით, — ნათქვამია ჩინურ კრებულში „იმპერიალიზმი და ყველა რეაქციონერი ქაღალდის ვეფხვები არიან“, — ისინი ფიქრობდნენ, რომ რაც უფრო მეტი ადამიანი დაიხოცება, მით უფრო ნაკლები იქნება რევოლუციის ძალები. მაგრამ ამ რეაქციული სუბიექტივისტური სურვილების საწინააღმდეგოდ ფაქტები ცხადყოფენ, რომ რაც უფრო მეტ ადამიანს დახოცავენ რეაქციონერები, მით უფრო მეტია რევოლუციის ძალები, მით უფრო უახლოვდება დაღუპვას რეაქცია. ეს უცილობელი კანონია“.

ჩინეთის ხელმძღვანელები მოითხოვენ, რომ სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტები გახდნენ ფატალისტები და გარდუვალად მიიჩნიონ ის, რომ ნახევარი მოსახლეობა შეეწიროს ახალ ომს. და განა მარტო ნახევარი! ხომ ცხადია, რომ ზარალი ქვეყნებისა, სადაც მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვეა, ქვეყნებისა, რომლებიც საომარი მოქმედების ცენტრში აღმოჩნდებიან, კიდევ უფრო დიდი იქნება, მათი ხალხები შეიძლება საერთოდ მოისპონ.

სწორედ რომ ვთქვათ, მათ ეს არაერთხელ უთქვამთ სრული გულახდილობით. როცა, მაგალითად, ერთ-ერთმა ჩეხოსლოვაკიელმა ჟურნალისტმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან ტაო ჯუსთან საუბარში თქვა, რომ ჩეხოსლოვაკიაში, სადაც 13 მილიონი კაცი ცხოვრობს, თერმოატომური ომის შემთხვევაში შესაძლოა მთელი ერი დაიღუპოსო, მას უპასუხეს: „გამანადგურებელი ომის შემთხვევაში სოციალისტურ ბანაკში შემავალ პატარა ქვეყნებს მოუხდებათ თავიანთი ინტერესები დაუმორჩილონ მთლიანად მთელი ბანაკის საერთო ინტერესებს“. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა პასუხისმგებელი მოხელე საბჭოთა წარმომადგენლებთან საუბარში ამტკიცებდა, რომ იტალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი ტოლიატი სწორი არ არის, როცა გამოთქვამს შეშფოთებას თავისი ხალხის ბედის გამო და ამბობს, თუ თერმოატომური ომი დაიწყება, მთელი იტალია დაინგრევაო. „ხომ დარჩებიან სხვა ხალხები, — განაცხადა ამ მოხელემ, — იმპერიალიზმი კი მოისპობა...“.

აი როგორია არსებითად ჩინეთის ხელმძღვანელთა თვალსაზრისი მსოფლიო თერმოატომური ომის საკითხში. მათ არა სურთ ანგარიში გაუწიონ იმ უდიდეს მსხვერპლს, რომელსაც ომი მოიტანდა, არა სურთ ანგარიში გაუწიონ მეცნიერების მონაცემებს, და შეუპოვრობით, რომელიც უკეთესი საქმისათვის გამოდგებოდა, იმეორებენ, რომ არ უნდა გავაზვიადოთ მსოფლიო ომის საშიში შედეგები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი პლანეტის ნახევარი მოსახლეობა დაიღუპება. მაგრამ კიდევაც რომ გადარჩეს კაცობრიობის რაღაც ნაწილი — ნახევარი, ნახევარზე მეტი თუ ნაკლები, — ვის შეუძლია სერიოზულად ივარაუდოს, რომ ცოცხლად გადარჩენილი ადამიანები შეძლებენ სწრაფად ააშენონ ახალი მაღალი ცივილიზაცია იმ პირობებში, როცა ქალაქები, ეკონომიკისა და კულტურის ცენტრები გადაიქცევა რადიოაქტიურ ნახანძრალად, მთელი ქვეყნები გადაიბუგება ატომური ცეცხლით, ხოლო დედამიწის ატმოსფერო მოწამლული იქნება მომაკვდინებელი რადიოაქტიური ნივთიერებებით.

პოლიტიკაში უნდა დავეყრდნოთ არა უტოპიას, არამედ იმას, რომ თერმოატომური ომი კატასტროფულ შედეგებს მოუტანს ყველა ხალხს, მთელ მსოფლიოს, ყველა ქვეყანა, ის ქვეყნებიც კი, რომლებიც გადაიტანენ ომს, თავიანთ განვითარებაში ათეული წლებით, საუკუნეებითაც კი დაიხევენ უკან. მსოფლიოში, რომელიც თერმოატომური ომის შემდეგ დარჩება, ისე არ იქნება შობადობის საქმეც, როგორც ეს სურთ დაბატონ ჩინეთის ხელმძღვანელებმა, — დაიღუპება ადამიანთა ნახევარი, არა უშავს რა, დედები დააჩენენ ახლებს, ადამიანთა მოდგმა არ დაკნინდებაო.

ჩინეთის ხელმძღვანელებს არა სურთ ანგარიში გაუწიონ ყველა ამ ფაქტს: ისინი, არსებითად, ქადაგებენ თერმოატომური ომის შესაძლებლობას. ეს რა, განსაკუთრებული გმირობა თუ რაღაც ახალმოვლენილი ჰუმანიზმია? შეიძლება თუ არა შევუთავსოთ ასეთი პოზიცია მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ბელადთა მაღალ მოვალეობას? ჩაუფიქრდნენ თუ არა პეკინში საკითხს, ვის, არსებითად, უწერია დაიწვას თერმო-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 222.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1963 წლის 23 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგი **დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი

1963 წლის 23 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი 1931 წლიდან, დიმიტრი სიმონის-ძე ზემლიანსკი.

დ. ს. ზემლიანსკი დაიბადა 1912 წელს ვორონეჟის ოლქის კოროტოიაკის რაიონის სოფელ კოლბინოში ღარიბი გლეხის ოჯახში. 17 წლიდან იგი იმყოფება აქტიურ კომკავშირულ სამუშაოზე. მუშაობდა კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგედ, ხოლო 1934 წლიდან 1937 წლამდე — ვორონეჟის ოლქის კომკავშირის კოროტოიაკის, ხოლო შემდეგ მორდოვოს რაიკომების მდივნად. როგორც გამოცდილი კომკავშირული მუშაკი იგი დააწინაურეს სამუშაოზე ყაზახეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

1941 წლიდან 1952 წლამდე დ. ს. ზემლიანსკი მუშაობს ყაზახეთის კომპარტიის კუსტანაის საოლქო კომიტეტის მდივნად, პარტიის კომის საოლქო კომიტეტის მდივნად, ხოლო შემდეგ სკკპ ორიოლის საოლქო კომიტეტის მდივნად.

1955 წელს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის წარმატებით დამთავრებისა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვის შემდეგ, დ. ს. ზემლიანსკი მუშაობდა პარტიის ალმა-ატის საოლქო კომიტეტის მდივნად, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის დირექტორად, სკკპ კუიბიშევის საოლქო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1961 წლიდან იგი დააწინაურეს პასუხსაგებ სამუშაოზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში.

1962 წელს დ. ს. ზემლიანსკი არჩეულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად. თავისი თავმდაბლობით, შრომისმოყვარეობითა და პრინციპულობით მან დაიმსახურა ავტორიტეტი რესპუბლიკის კომუნისტებსა და მშრომელებს შორის.

ყველგან, რა სამუშაოზეც უნდა გაეგზავნა პარტია დ. ს. ზემლიანსკი, იგი დიდი ენერგიითა და უნარით ასრულებდა დავალებებს. სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის დ. ს. ზემლიანსკი დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენითა და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

ერთგული კომუნისტის, გულისხმიერი, თავმდაბალი ადამიანისა და ამხანაგის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

ლ. ბრეჟნევი, ვ. მჟავანაძე, ვ. ტიტოვი, ლ. ილიჩოვი, ბ. ჯავახიშვილი, პ. პიგასევი, გ. ბოჩკარიოვი, მ. პოლეხინი, ვ. სტეპანოვი, გ. ძოწენიძე, გ. გეგეშიძე, შ. ჭანუყვაძე, დ. სტურუა, მ. კუბავა, ა. სტუჩენკო, მ. ლელაშვილი, გ. ჩოგოვაძე, რ. ფრუიძე, ო. ჩერქეზია.

სამედიცინო დასკვნა

ამხ. დ. ს. ზემლიანსკი რამდენიმე წლის მანძილზე დაავადებული იყო ნაღვლკენჭოვანი ავადმყოფობით.

მიმდინარე წლის 19 სექტემბერს ამხ. დ. ს. ზემლიანსკის გაუმწვავდა ავადმყოფობა, რომელიც გართულდა ნაღვლის ბუშტის განგრენით. მას გაუკეთეს ოპერაცია.

შემდგომში განვითარდა გულის სისხლძარღვების მწვავე ნაკლოვანება, რამაც გამოიწვია სიკვდილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. კ. ჟღენტი
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი გ. რ. ხუნდაძე
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ე. კ. ფიფია
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ი. ნ. ცინცაძე
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამართველოს უფროსი ზ. ი. ნემსაძე.

1963 წლის 23 სექტემბერი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

შეიქმნას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. **დ. ს. ზემლიანსკის** დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია ამხანაგების **გ. ა. გეგეშიძის** (თავმჯდომარე), **გ. ი. ჩოგოვაძის, რ. ი. ფრუიძის, მ. მ. ლელაშვილის, ზ. ა. კვაჭაძის, ა. ე. მელაძის** შემადგენლობით.

ამხანაგ დ. ს. ზემლიანსკის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

კუბო ამხ. **დ. ს. ზემლიანსკის** ნეშტით დადგმულია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში.

განსვენებულ დ. ს. ზემლიანსკისთან გამოსათხოვრად დარბაზი ღია იქნება 24 სექტემბრის დღის 12 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 24 სექტემბრის საღამოს 8 საათზე.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

(გაგრძელება)

ატომური ომის ცეცხლში, თუ იგი მაინც აგიზგიზდება? იმპერიალისტებს, მონოპოლისტებს? სამწუხაროდ, მხოლოდ მათ როდი, — ისინი დაიწყებენ ომს, ხოლო ამ ომში დაიღუპებიან მშრომელი ადამიანების, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის უდიდესი მასები.

არც ერთი მარქსისტული პარტია, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია ხალხის წინაშე, არასოდეს არ იქნება თანახმა ჩინეთის დებულებანი დაუდოს საფუძვლად თავის პოლიტიკას.

ასეთია დავის არსის საქმე. ახლა კი დავუბრუნდეთ ციტატების საკითხს. განცხადებათა ავტორებს მოჰყავთ გასწორებული ტექსტი იმისა, რაც მაო ძე-დუნმა მოსკოვის 1957 წლის თათბირზე თქვა. ეს ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ნამდვილი ტექსტისაგან. ჭეშმარიტების ინტერესებისათვის მოვიყვანთ თათბირის ოქმიდან მაო ძე-დუნის ნამდვილ სიტყვებს, რომლებიც მან წარმოთქვა თათბირის მონაწილეთა დასწრებით. მის მიერ თქმულში განსაკუთრებით აშკარად ჩანს ჩინეთის ხელმძღვანელობის მცდარი შეხედულებანი.

„შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, — თქვა მან, — ადამიანთა რამდენ მსხვერპლს გამოიწვევს მომავალი ომი? შესაძლოა, იქნება მესამედი მთელი მსოფლიოს 2.700 მილიონი მოსახლისა, ესე იგი მხოლოდ 900 მილიონი კაცი. მიმაჩნია, რომ ეს კიდევ ცოტაა, თუ ნამდვილად ჩამოცვივა ატომური ბომბები. რა თქმა უნდა, ეს დიდი საშინელებაა. მაგრამ არც ისე ცუდი იქნებოდა ნახევარიც. რატომ? იმიტომ, რომ ეს ჩვენ კი არ გვინდოდა, მათ უნდოდათ, ისინი გვახვევენ თავს ომს. თუ ვიომებთ, გამოყენებულ იქნება ატომური და წყალბადის იარაღი. პირადად მე ვფიქრობ, რომ ადამიანთა მთელ სამყაროში იქნება ასეთი ტანჯვა, როცა დაიღუპება ნახევარი კაცობრიობა, შესაძლოა, ნახევარზე მეტიც. მე დავა მქონდა ამ საკითხზე ნერუსთან. ამ მხრივ იგი ჩემზე უფრო პესიმისტურად არის განწყობილი. მე ვუთხარი მას, თუ ნახევარი კაცობრიობა მოისპობა, დარჩება კიდევ ნახევარი, სამაგიეროდ იმპერიალიზმი მთლიანად მოისპობა და მთელ მსოფლიოში იქნება მხოლოდ სოციალიზმი, ნახევარ საუკუნეში ან მთელ საუკუნეში კი მოსახლეობა ისევ გაიზრდება, ნახევარჯერ და უფრო მეტადაც“.

აქ ნათქვამის არსი სავსებით დადასტურებულია 1 სექტემბრის განცხადებაში, მაგრამ ტექსტის იმ ვარიანტში, რომელიც ამ დოკუმენტშია მოყვანილი, არის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ აშკარად ცდილობენ შენიღბონ მისი ნამდვილი აზრი. მაგალითად, განცხადებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია სიტყვები: „ჩვენში ჩინეთში ხორციელდება მშენებლობა, ჩვენ მშვიდობა გვინდა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტები, ყველაფრის მიუხედავად, თავს მოგვახვევენ ომს, იძულებული ვიქნებით, გულისტკენით, გადავდოთ მშენებლობა და დავუბრუნდეთ მას ომის შემდეგ“. მაგრამ მთელი საქმე ის არის, რომ 1957 წლის თათბირზე სულ სხვა სიტყვები წარმოითქვა. აი რა თქვა მაო ძე-დუნმა: „ჩინეთში ჯერ კიდევ არ გამლილა ნამდვილად მშენებლობა. იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტები თავს მოგვახვევენ ომს, ჩვენ მზად ვიქნებით იმისათვის, რომ შევწყვიტოთ მშენებლობა; მოდით ჯერ მოვსინჯოთ ძალები, მერე კი დავუბრუნდეთ მშენებლობას“.

ყველას შეუძლია დაინახოს, რომ ამ სიტყვების აზრი სულ სხვაა. რას ნიშნავს მოწოდება „ჯერ მოსინჯონ ძალები, ხოლო შემდეგ დაუბრუნდნენ მშენებლობას“? განა იგი მშვიდობისაკენ, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებას ნიშნავს? არსებითად, სწორედ ეს არის საომარი კონფლიქტის, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ომით გადაჭრის გეზი. და ვერავინ ვერ შეძლებს წარმოსახოს ეს გეზი როგორც შემთხვევით წამოსროლილი სიტყვები. ჩინეთის ხელმძღვანელები უკმაყოფილო არიან, როცა მათ ახსენებენ მაო ძე-დუნის ამ სიტყვებს, იმოწმებენ რა იმას, რომ ლაპარაკი იყო იმ შემთხვევაზე, როცა იმპერიალისტები ხალხებს ომს თავს მოახვევენო. ჩვენ გვინდა ამასთან დაკავშირებით ვკითხოთ: სად და როდის ულაპარაკნიათ მათ კაპიტალიზმზე გამარჯვების სხვა პერსპექტივის შესახებ, სად და როდის განუცხადებიათ გარკვევით, რომ სოციალისტურ ქვეყნებს შეუძლიათ დაამარცხონ კაპიტალიზმი მასთან მშვიდობიანი შეჯიბრების გზით?

ჩინეთის პრესაში, ჩინეთის კომუნისტური პარტიის დოკუმენტებში სისტემატურად და შეუპოვრად ქადაგებენ იდეას, რომ „მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება არ არის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რეალური საშუალება“, რომ „მშვიდობიანი თანაარსებობა არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალისტური ქვეყნების ვენერალურ პოლიტიკად“.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ ნაცვლად მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისა ჩინეთის ხელმძღვანელები გაძლიერებით აქებენ „ცივ ომს“, საერთაშორისო დაძაბულობის ვითარებას.

ჯერ კიდევ 1958 წელს, როცა პეკინში, როგორც ჩანს, ის-ის იყო ყალიბდებოდა შეხედულება „ცივი ომის“ ვითარების ვითომდა სარგებლობაზე რევოლუციის ინტერესებისათვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი ავითარებდა შემდეგ აზრებს: დასავლეთი ფიქრობს, რომ ცივი ომი ხელსაყრელია მისთვის. მაგრამ სინამდვილეში იგი „უფრო ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნებისათვის“. მოგვიანებით ასეთი შეხედულება ჩინეთის ხელმძღვანელებმა განავითარეს მთელ „თეორიად“. „საუბრებში საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე, — ნათქვამია პარტია „კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის“ ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის რეზოლუციაში, — ჩინეთის ხელმძღვანელებმა უთხრეს ჩვენს ამხანაგებს, რომ „ცივი ომი კარგი რამ არის“, რომ „დაძაბულობის ვითარება კარგი ვითარებაა“ რევოლუციური ბრძოლის განვითარებისათვის“.

ამ იდეებს ფართო პროპაგანდას უწევენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესაშიც. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. 1962 წლის დეკემბერში გაზეთი „ენმინ ჟიბაო“ წერდა: „რაც შეეხება მტკიცებას, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის გზით შეიძლება შექმნას „უომო მსოფლიო“, ეს მით უმეტეს სრული სისულელეა“. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლაო ჩენ-ჯი მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს სტოკჰოლმის სესიაზე 1961 წლის დეკემბერში ამტკიცებდა, რომ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ იმპერიალისტებთან შეიძლება შეთანხმებათა მიღწევა და შეიძლება მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა, თავს იტყუებენ.

ჩავუფიქრდეთ ამ დებულებათა აზრს.

ერთი მხრივ, ჩინელი ხელმძღვანელები ამტკიცებენ, ომი გარდუვალია, სანამ იმპერიალიზმი არსებობსო, ავრცელებენ შეხედულებებს, საერთაშორისო დაძაბულობა, „ცივი ომი“ სიკეთეაო. მეორე მხრივ, ისინი ამბობენ, მსოფლიო ომი კიდევაც რომ მოხდეს, არავითარი საშიხელება არ მოჰყვება, რადგან ცოცხალი მაინც გადარჩება ნახევარი კაცობრიობა, რომელიც კიდევ უფრო მშვენიერ მომავალს ააშენებსო.

ყველა ეს შეხედულება რომ შევაერთოთო, აშკარა გახდება, რომ საქმე მხოლოდ იმას როდი შეეხება, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობის ძალების მთელი მეცადინეობის მიუხედავად იმპერიალისტები მაინც ატეხენ ომს. არა, ასეთი მსჯელობა მხოლოდ ყვამლის საფარია. სინამდვილეში ჩინეთის ხელმძღვანელობის პოზიცია სულ სხვაგვარად ისახება. მოვლენათა განვითარების ომის ვარიანტი მისთვის გარდუვალი და უფრო სასურველიც კია, ვიდრე მშვიდობის ვარიანტი.

ყოველივე ამის შემდეგ ძნელია ჩინელმა ხელმძღვანელებმა თავიანთი თავი მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეებად დასახონ.

მაგრამ საქმე მხოლოდ ციტატები და განცხადებები როდია. მთავარი ის არის, რომ უკანასკნელ წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები პრაქტიკულად ახორციელებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც სავსებით უეჭველს ხდის, რომ ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას.

ჩინელ ხელმძღვანელებს არა სწამთ მსოფლიო თერმოატომური ომის თავიდან აცილების შესაძლებლობა და დაბრკოლებებს უქმნიან საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიერ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას. ყოველთვის, როცა უკანასკნელი წლების მანძილზე სოციალისტური ქვეყნების, მშვიდობისმოყვარე ხალხების მეცადინეობის მეოხებით ნიადაგი იქმნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობდა ჩაეფუშა ეს შენელება. ახლა არავითარი ეჭვი არ არის, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გეზზე ჩინელი ხელმძღვანელების იერიშების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ 1959 წელს ნიადაგი შეიქმნა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, რამდენადმე შესუსტდა „ცივი ომი“ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, განსაკუთრებით ამერიკას შეერთებულ შტატებში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრების შემდეგ.

არ შეიძლება შემთხვევითად მივიჩნიოთ ის, რომ ჩინელი ხელმძღვანელები სწორედ ამ პერიოდში ჩაებნენ შეიარაღებულ შეტაკებაში ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე, რომელმაც გაამწვავა ვითარება, არა მარტო მსოფლიოს არეალიონში, არამედ საბოლოო ანგარიშით მიმართული იყო საერთაშორისო დაძაბულობის დასახული შენელების ჩასაფუშავად.

ჩინეთ-ინდოეთის კონფლიქტის წარმოშობის დასაწყისშივე 1959 წელს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები გულახდილად ეუბნებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რომ გაჩწვავება ჰიმალაიში სასაზღვრო ტერიტორიების გამო დავისა, რაც მემკვიდრეობად მიიღეს ჩინეთმა და ინდოეთმა ძველი დროისაგან, და მისი გადაქცევა დიდ შეიარაღებულ კონფლიქტად სასურველი არ არის და უარყოფით შედეგებს გამოიწვევს არა მარტო ჩინეთ-ინდოეთის ურთიერთობისათვის, არამედ მთელი საერთაშორისო ვითარებისთვისაც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასაზღვრო დავაში, მით უფრო ჩინეთ-ინდოეთის ამ დავაში, უნდა დავიცვათ ლენინური შეხედულებანი, რომელთა თანახმად ყოველგვარი სასაზღვრო საკითხი შეიძლება გადაწყდეს იარაღის გამოუყენებლად, თუ ორივე მხარე გამოიჩენს ამის სურვილს.

ახლა უკვე ყველა ხედავს, რომ ჩინეთ-ინდოეთის კონფლიქტს ჰიმალაიში უაღრესად უარყოფითი შედეგები ჰქონდა მშვიდობის საქმისათვის, დიდი ზიანი მიაყენა ანტიიმპერიალისტური ფრონტის ერთიანობას აზიაში, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ინდოეთის პროგრესული ძალები.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც თვითონ ჩინეთმა მოიგო რამე. მისი პრესტიჟი მსოფლიოს ხალხთა თვალში და უწინარეს ყოვლისა აზიისა და აფრიკის ხალხთა თვალში სრულიადაც არ გაზრდილა. ხალხებმა გაოცებითა და გულისტკივილით დაინახეს, რომ ერთ-ერთი სოციალისტური ქვეყანა, რომელმაც თვითონ ამ ცოტა ხნის წინათ მოიპოვა დამოუკიდებლობა და სამაგალითოდ მიაჩნდათ, საომარ კონფლიქტში ჩაება ახალგაზრდა ნეიტრალისტურ სახელმწიფოსთან და, გამოიყენა რა თავისი სამხედრო უპირატესობა, ცდილობდა ამ გზით გადაეჭრა თავის სასარგებლოდ ტერიტორიის რაღაც ნაწილის საკითხი.

ჩინელმა ხელმძღვანელებმა ანგარიში არ გაუწიეს სხვა სოციალისტური ქვეყნებისა და მომძე პარტიების ამხანაგურ რჩევას. უფრო მეტიც, ეს იმის ნიშნად მიიჩნიეს, რომ მომძე ქვეყნებს არა სურთ მხარი დაუჭირონ მათ საერთაშორისო ასპარეზზე, ეს ამხანაგური რჩევა დიდ შეურაცხყოფად მიიღეს. სტატიაში „რამ ვამოიწვია უთანხმოება?“ ჩინელმა ამხანაგებმა პირდაპირ დაუკავშირეს მომძე პარტიებთან თავიანთი უთანხმოების დასაწყისი იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა უშენიშვნოდ არ დაუჭირეს მხარი ჩინეთის პოზიციას ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე კონფლიქტის დროს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მოქმედება, რომელიც ძირს უთხრის ნეიტრალიზმის პოლიტიკას, არსებითად ხელს უწყობს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს გააძლიერონ თავიანთი გავლენა განთავისუფლებულ ქვეყნებში და უწინარეს ყოვლისა ინდოეთში. ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, შეიძლება შეაფერხოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის განვითარება და უარყოფითი აზიისა და ევროპის ხალხთა ეროვნული-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეს ეს ეს ... ეროვნული-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ... ეროვნული-განმათავისუფლებელ ... ეროვნული-განმათავისუფლებელ ... ეროვნული-განმათავისუფლებელ

საბჭოთა მთავრობის განცხადება

(დასასრული)

გაფთრებული რეპრესიული ღონისძიებანი განახორციელონ მუშათა და დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ, რათა გაანადგურონ და იატაკქვეშეთში შერეკონ კომუნისტური პარტიები, ფეხქვეშ გათელონ მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესები, დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები.

კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული ქვეყნებისათვის დაძაბულობის გაძლიერება გაართულებდა ეროვნული მრეწველობის შექმნის ამოცანის გადაწყვეტას, საკუთარი ეკონომიკიდან იმპერიალისტური მონოპოლიების განდევნას, ხელს შეუშლიდა პროგრესულ ძალებს განახორციელებინათ სოციალური რეფორმები და აიძულებდა მათ ისედაც მცირე სახსრები საომარი მომზადებისათვის გამოეყენებინათ. ეს შეაფერხებდა იმ ხალხთა განთავისუფლებას, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიზატორთა უღელქვეშ არიან.

ჩინეთის ხელმძღვანელთა თვალსაზრისს რომ გაემარჯვა, კომუნისტები მშვიდობისათვის ბრძოლის ნაცვლად საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების გზას რომ დასდგომოდნენ, ეღიარებინათ მსოფლიო ომის ფატალური გარდუვალობა, მაშინ კაცობრიობას თავს დაატყდებოდა თერმოატომური კატასტროფა. ჩინეთის ხელმძღვანელები ამაოდ ატყუებენ საკუთარ თავს და სხვებსაც, თითქოს ეს მოაახლოებდა მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებას.

როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა ქვეყნების მოძმე პარტიები ამბობენ, ახალი მსოფლიო ომის ცეცხლში იმპერიალიზმი მოისპობაო, ისინი ეყრდნობიან იმას, რომ თვით მშრომელები დაამხობენ თავიანთი ქვეყნების მმართველ ექსპლოატატორულ კლასს, რომელსაც მძიმე დანაშაული მიუძღვის ბილიონობით და მილიონობით ადამიანის საზარელ მოსპობაში. მაგრამ კომუნისტები რომ ჩინეთის ხელმძღვანელთა კურსს გაჰყოლოდნენ, ხელიდან გაეშვათ მშვიდობის დროშა და, უფრო მეტი, თვითონ შეეწყოთ ხელი ომის გაჩაღებისათვის, ხალხთა მასები თავიანთ ბედს განა ანდობდნენ ასეთ ვაი-კომუნისტებს?

არა, ხალხები არასოდეს არ აპატიებდნენ იმათ, ვინც ასე თუ ისე კაცობრიობას უბიძგებდა თერმოატომური ომისაკენ, რა რევოლუციური ფრაზებითაც უნდა ნიღბავდნენ ამას.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელთა კურსი ეწინააღმდეგება ყველა ქვეყნის ხალხთა მასების ძირეულ ინტერესებს. სინამდვილეში ეს ნიშნავს ღალატს მსოფლიო სოციალიზმისადმი, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, მსოფლიო რევოლუციის საქმისადმი.

ჩინეთის ხელმძღვანელები ახდენენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზის რევიზიას და ცდილობენ საერთაშორისო მუშათა კლასსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თავს მოახვიონ „რევოლუციური ომების“ საშუალებით რევოლუციის წაბიძგების თეორია. მათი აზრით, სოციალისტურ ქვეყნებს შეუძლიათ რევოლუციის საქმე კაპიტალისტურ ქვეყნებში წინ წასწიონ მხოლოდ ასეთი გზით.

აქ საქმე გვაქვს იმ ლენინური დებულების დარღვევასთან, რომ რევოლუცია თვითეული ქვეყნის მშრომელთა საშინაო საქმეა და რომ რევოლუციის იმპორტი გარედან არ შეიძლება. აიღეს რა რევოლუციის წაბიძგების კურსი, ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეყრდნობიან იმას, რომ რევოლუციები შესაძლებელია ყოველთვის, ყველგან და ყოველგვარ პირობებში. ისინი უგულებელყოფენ კლასობრივი ძალების რეალურ თანაფარდობას, უგულებელყოფენ იმ საკითხს, არის თუ არა რევოლუციური სიტუაცია ამა თუ იმ ქვეყანაში, არ ითვალისწინებენ საერთაშორისო ვითარებას.

ჩინელმა თეორეტიკოსებმა შეგნებულად ერთ გროვაში მოაქციეს უამრავი სხვადასხვა საკითხი: მსოფლიო ომის, ლოკალური ომების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სამოქალაქო ომების — სახალხო აჯანყებების, რევოლუციის მშვიდობიანი და არამშვიდობიანი გზების საკითხები. ეს იმისათვის დასჭირდათ, რომ დაანახვონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მოძმე პარტიების პოზიცია, საქმე ისე დასახონ, თითქოს კომუნისტური მოძრაობა, რომელიც მშვიდობის დაცვის გზას დაადგა, ამით რევოლუციის წინააღმდეგ ილაშქრებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მოძმე პარტიების პოზიცია კი ნათელია. ჩვენ მსოფლიო ომის ყველაზე შეუპოვარი მოწინააღმდეგენი ვართ, ისევე როგორც საერთოდ სახელმწიფოთა შორის ომებისა.

ომი მხოლოდ იმპერიალისტებს სჭირდებათ სხვისი ტერიტორიების დასაპყრობად, ხალხთა დასამონებლად და გასაძარცვავად, სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ მტკიცედ და თანმიმდევრულად ვდგავართ იმ თვალსაზრისზე, რომ არაფრით არ შეიძლება ახალი მსოფლიო ომის ატეხის გამართლება, ომისა, რომელიც, თუ თანამედროვე იარაღის დამანგრეველ ძალას გავითვალისწინებთ, ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა ხალხებისათვის. რა თქმა უნდა, უდავოა, რომ თუ იმპერიალისტები მაინც ატეხენ ომს, ხალხები მოსპობენ და დაასამარებენ იმპერიალიზმს. მაგრამ კომუნისტები, რომლებიც ხალხებს წარმოადგენენ, ვალდებული არიან ყოველი ღონე იხმარონ, რათა არ მოხდეს ახალი მსოფლიო ომი.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და სხვა მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს საჭიროდ მიაჩნიათ მაქსიმუმი სიფხიზლე გამოიჩინონ ყველა ლოკალური ომისა და კონფლიქტის მიმართ, რომლებსაც „ძალის პოზიციის“ იმპერიალისტური პოლიტიკა წარმოშობს. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ზოგიერთ იმპერიალისტურ წრეებს, როცა დაინახეს, ძალთა თანაფარდობა მსოფლიო სოციალიზმის სასარგებლოდ მკვეთრად შეიცვალაო, ამინებთ, შეიძლება მსოფლიო ომი იმპერიალისტებისათვის სრული კრახით დამთავრდესო, ამიტომ იმედს ამყარებენ ადგილობრივ, ლოკალურ ომებზე და ამ გზით ცდილობენ განახორციელონ თავიანთი აგრესიული ზრახვები.

ყველა დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარული ძალების ამოცანაა მტკიცე, შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიონ ლოკალური ომების იმპერიალისტ გამჩაღებლებს. ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ლოკალური ომები შეიძლება გადაიქცეს იმ ნაპერწკლად, რომლისგანაც მსოფლიო ომის ხანძარი გაჩაღდება. ჩინელი ხელმძღვანელები სერიოზულ შეცდომას სჩადიან, როცა ამტკიცებენ, ლოკალური კონფლიქტები არავითარ პირობებში არ გამოიწვევენ საყოველთაო თერმოატომურ ომსო. მათი მსჯელობის ლოგიკით გამოდის, რომ ლოკალური ომები, უნდა ცნო პოლიტიკის მისაღებ და მიზანშეწონილ მეთოდად, სოციალისტური ქვეყნებისთვისაც, კერძოდ რევოლუციის „ექსპორტისათვის“.

მაგრამ ომისშემდგომი წლების მთელი გამოცდილება, მაგალითად, ისეთი კრიზისების გამოცდილება, როგორიც იყო ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებული სუეცის კრიზისი, გვიჩვენებს, რამდენად დიდია ჩვენს დროში ლოკალური ომების საყოველთაო ომში გადაზრდის საფრთხე. სავსებით რეალურია აგრეთვე ლოკალურ ომებში თერმოატომური იარაღის გამოყენების საფრთხე თუ ამ ომების მონაწილენი იქნებიან ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ატომური იარაღი ან სათანადო შეთანხმებებით არიან დაკავშირებული ატომურ სახელმწიფოებთან.

პრინციპულად განსხვავდება ჩვენი თვალსაზრისი ეროვნულ-განმათავისუფლებელ და სამოქალაქო ომებზე — სახალხო აჯანყებებზე. ხალხები, რომლებიც იარაღით ხელში იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის, სამართლიან ომს აწარმოებენ, და ჩვენ მათ მუდამ ვუჭერდით და ვუჭერთ მხარს.

განმათავისუფლებელი ომი, ისევე როგორც სამოქალაქო ომი, როგორც წესი, ერთი ქვეყნის ფარგლებში მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით არ დგება ატომური იარაღის გამოყენების საკითხი. ასეთ ომში ატომური იარაღი დღემდე არავის გამოუყენებია. ეს გასაგებიც არის, აქ ხომ ხშირად ოკეანეა აღნიშნული ფრონტის ხაზი, რომელიც მოწინააღმდეგეებს ჰყოფს. ასე იყო ვიეტნამში, კუბაში, ალჟირსა და სხვა ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები მიესალმებიან ხალხთა ბრძოლას, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური განთავისუფლებისათვის აწარმოებენ ომებს, და მათ ყოველმხრივ უჭერენ მხარს.

რაც შეეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მშვიდობიანი და არამშვიდობიანი ფორმების საკითხს, აქ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მოძმე პარტიების პოზიცია სავსებით ნათელია და სავსებით შეესაბამება ხალხთა ინტერესებს. ჩვენ იმას ვეყრდნობით, რომ არის ბრძოლის სხვადასხვაგვარი ფორმები, რომ რევოლუციური ძალები აღჭურვილი უნდა იყვნენ ყველა ამ ფორმით—როგორც მშვიდობიანი, ისე არამშვიდობიანი ფორმებით, და უნარიანად გამოიყენონ ისინი კონკრეტული ვითარების შესაბამისად. ასეთი პოზიცია ნამდვილად ლენინური და ერთადერთი სწორი პოზიციაა. ეს პოზიცია დადასტურებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, კომუნისტური მოძრაობა კი არ შორდებიან ამ დებულებებს, არამედ ჩინელი ხელმძღვანელები. რევოლუციის გამარჯვებას ისინი პირდაპირ უკავშირებენ ომებს. მაო ძე-დუნი სწორედ ასე ამბობს, „სამყაროს გარდაქმნა მხოლოდ შაშხანით შეიძლება“, „ომის მოსპობა მხოლოდ ომით შეიძლებაო“. მაო ძე-დუნს სიტყვით, სწორედ ომია ის ხიდი, რომლითაც „კაცობრიობა ახალ ისტორიულ ეპოქაში შევა“.

რევოლუციური პროცესის წაბიძგების მიზნით „რევოლუციური ომის“ თეორია ახალი როდია: იგი ამოღებულია მტვრით დაფარული ტროცკისტული არქივიდან. ეს ფსევდორევოლუციური თეორია ერთ დროს გააკამტვერა და უკუაგდო ვ. ი. ლენინმა. და აი ახლა, მრავალი წლის შემდეგ, ამ სქემას სურთ უნივერსალური ხასიათი მისცენ და თავს მოახვიონ რევოლუციურ ძალებს.

რას ამბობდა ვ. ი. ლენინი ეგრეთწოდებული რევოლუციის წაბიძგების თეორიის გამო, რასაც ქადაგებდნენ ტროცკი და „მემარცხენეები“? იგი მას „რევოლუციური ფრაზის მღიერს“ უწოდებდა. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ყოველი გლეხი ასეთი თეორიის ავტორს ეტყოდა: „შენ, ბატონო, სახელმწიფო კი არ უნდა მართო, მოლაქლაქე კლოუნად უნდა ჩაეწერო, ანდა პირდაპირ აბანოში წახვიდე ოფლის მოსადენად და მღიერის მოსაშორებლადო“ (თხზულებანი, ტომი 27, გვ. 24).

ასეთ ადამიანებს ვ. ი. ლენინი ეუბნებოდა: „შეიძლება, ავტორები ფიქრობენ, რომ საერთაშორისო რევოლუციის ინტერესები მოითხოვს მის **წაბიძგებას**, ასეთი წაბიძგება კი იქნებოდა მხოლოდ ომი და სრულიადაც არა ზავი, რომელსაც შეუძლია მასებზე მოახდინოს იმპერიალიზმის „დაკანონების“ მაგვარი შთაბეჭდილება? ასეთი „თეორია“ სრულიად საწინააღმდეგო იქნებოდა მარქსიზმისა, რომელიც ყოველთვის უარყოფდა რევოლუციების „წაბიძგებას“, რევოლუციებისა, რომელნიც ვითარდებიან მათ წარმომშობ კლასობრივ წინააღმდეგობათა სიმწვავის მომწიფებისდა კვალად. ამგვარი თეორია შეედრებოდა იმ შეხედულებას, თითქოს შეიარაღებული აჯანყება ბრძოლის ისეთი ფორმაა, რომელიც სავალდებულოა ყოველთვის და ყოველ პირობებში“ (თხზულებანი, ტ. 27, გვ. 66).

ვ. ი. ლენინი ულმობლად იბრძოდა რევოლუციური ფრაზიორების წინააღმდეგ. მან უანდერძა კომუნისტებს: „უნდა ვებრძოლოთ რევოლუციურ ფრაზას, იძულებული ვართ ვებრძოლოთ, აუცილებლად უნდა ვებრძოლოთ, რომ ჩვენზე როდისმე არა თქვან მწარე სიმართლე: „რევოლუციურმა ფრაზამ რევოლუციური ომის შესახებ დაღუპა რევოლუციაო“ (თხზულებანი, ტ. 27, გვ. 14).

ჩინელი თეორეტიკოსებისათვის, რომლებიც იმეორებენ უბადრუკ ანტისაბჭოთა ცილისწამებას რევოლუციის „აკრძალვის“ თაობაზე, რასაკვირველია, არ შეიძლება არ იყოს ცნობილი, რომ რევოლუცია არ ხდება მოსკოვის ან პეკინის შეკვეთით, ხოლო როცა იგი მომწიფდა, მაშინ არ შეიძლება მისი შეჩერება ვისიმე „აკრძალვით“. და თუ მათ სერიოზულად სჯერათ, რომ შესაძლებელია რევოლუციის გამოწვევა მემარცხენე რევოლუციური ფრაზის მტკიცებების დახმარებით, მაშინ ისინი ძალიან შორს არიან მარქსიზმ-ლენინიზმისაგან.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება რევოლუციის შესახებ ამჟამად ცნობილია ყველა განათლებული ადამიანისათვის. რევოლუციის გამარჯვებისათვის, გვასწავლის მარქსიზმ-ლენინიზმი, საჭიროა გარკვეული ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრები. კაპიტალიზმის ქვეყნებში ბრძოლა რევოლუციისათვის თვითეული ქვეყნის მუშათა მოძრაობის საშინაო საკითხია. მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა კლასსა და მის კომუნისტურ ავანგარდს შეუძლიათ განსაზღვრონ რევოლუციური ტაქტიკა, თავიანთი ბრძოლის ფორმები და მეთოდები, განსაზღვრონ რევოლუციის დრო და ფორმები.

სოციალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმის გამარჯვება გარდუვალია. ეს ადამიანთა საზოგადოების განვითარებიდან გამომდინარე ობიექტური პროცესია. ისევე როგორც ერთ დროს კაპიტალიზმმა შეცვალა ფეოდალიზმი, ასევე სოციალიზმიც აუცილებლად გაიმარჯვებს კაპიტალიზმზე. კაპიტალიზმის მსხვრევის პროცესს ვერ აღკვეთს ვერც ვაშინგტონი, ვერც ლონდონი, ვერც პარიზი, ვერც ბონი. საკითხი ის კი არ არის, „ვაწარმოოთ თუ არა რევოლუცია“, როგორც მას პეკინელი თეორეტიკოსები აყენებენ. მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საკმარისია მოინდომოს რომელიმე მოღვაწემ, რომელსაც „რევოლუციური ფრაზის მღიერი“ სჭირს, და რევოლუცია მსოფლიოს ყველა კუთხეში მაშინვე იფეთქებსო. ასეთი თეორიის ავტორები უნდა ჩაფიქრებოდნენ, რატომღა არის, რომ, მიუხედავად ყველა მათი მტკიცებისა, ცხოვრება თავისი გზით მიდის.

განა ომისშემდგომი ეპოქის რევოლუციათა გამოცდილება განისაზღვრება რაიმე სქემით? ჩინელ ხელმძღვანელებს, მაგალითად, მიაჩნიათ, რომ მთელი ომისშემდგომი წლები „რევოლუციური ომების“ წლებია, რომ ყველა ხალხმა მიაღწია განთავისუფლებას ან შეუძლია მიაღწიოს მას მხოლოდ და მხოლოდ ომის გზით.

მაგრამ ეს სინამდვილის დამახინჯების, მისი ვიწრო მკვდარი სქემების ჩარჩოში მოქცევის ცდაა. სინამდვილეში ხალხთა ეროვნული განთავისუფლება მიღწეულია ბრძოლით, სადაც ერთიმეორესთან დაკავშირებული იყო რთული, უაღრესად მრავალგვარი, როგორც მშვიდობიანი, ისე არამშვიდობიანი მეთოდები და საშუალებანი.

ჩინელი ხელმძღვანელები საბჭოთა ადამიანებს ბრალად სდებენ პაციფიზმს, იმას, თითქოს სურდეთ განთავისუფლებული ქვეყნების განიარაღება. იქნებ ჩინელ ხელმძღვანელებს აქვთ საამისო ფაქტები? არა, მათ არ გააჩნიათ არც ერთი ფაქტი და თუმცა ძალიან გრძელ განცხადებებს აქვეყნებენ, მაგრამ ერთხელაც არ დაუსახელებიათ კონკრეტული მაგალითები.

ამიტომ ისინი იყენებენ უსაფუძვლო დეკლარაციებს. ასეთი დეკლარაციები ცოტა როდია ჩინეთის მთავრობის უკანასკნელ განცხადებაშიც. იქ ნათქვამია, თითქოს ჩვენი პოლიტიკა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ შემდეგი იყოს: „არ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოთ იმპერიალისტებს, რომლებსაც აქვთ ატომური იარაღი; თუ ჩაგრული ხალხები და ჩაგრული ერები წინააღმდეგობას გაუწევენ და სოციალისტური ქვეყნები მხარს დაუჭერენ ამ წინააღმდეგობას, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ წავუბიძგებთ კაცობრიობას მსოფლიო თერმოატომური ომისკენ“. აქ რამდენიც სიტყვაა, იმდენი სიცრუეა, რომლის მიზანია შეცდომაში შეიყვანონ, მოატყუონ საქმეში ჩაუთვლელი ადამიანები. ამ პოლიტიკური დივერსიის აზრი აშკარაა: ჩირქი მოსცხონ საბჭოთა კავშირს, დათესონ უნდობლობა მისი პოლიტიკის მიმართ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებში.

მაგრამ მებრძოლმა ხალხებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ ილაშქრებდა და ილაშქრებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ, უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს ჩაგრულ ხალხთა წმიდათა-წმიდა ბრძოლას. „საბჭოთა კავშირის პოზიცია, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — მკაფიო და ნათელია: არც აზიაში, არც აფრიკაში, არც ლათინურ ამერიკაში, მსოფლიოს არც ერთ რაიონში არ უნდა იყოს არც ერთი ხალხი კოლონიური ბორკილით შებოჭილი, ყველა ხალხი თავისუფალი უნდა იყოს“.

საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ატომური ქარიშხალი არ დაატყდეს ჩვენს პლანეტას, არ გადაწვას კონტინენტები, არ დატოვოს მილიონობით და მილიონობით გვამი, მათ შორის კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებშიც. მაშ რა არის აქ ცუდი? ყოველი საღადმოაზროვნე ადამიანი უპასუხებს: „ეს კარგია, მადლობა საბჭოთა კავშირს“. ხოლო ჩინეთის მთავრობას რატომღაც ხელს არ აძლევს საბჭოთა კავშირის ასეთი ბრძოლა. მაგრამ რადგან აშკარად ამის თქმისა მას შეეშინდა, მიმართა ფალსიფიკაციას და ცდილობს შავი თეთრად გაასაღოს.

თავის მისწრაფებაში ჩირქი მოსცხოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, ჩინეთის მთავრობა მიმართავს უხეშ მონაჭორს და აშკარა უაზრობამდეც კი მიდის. იგი აცხადებს. მაგალითად, თითქოს საბჭოთა ხელმძღვანელებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას „გვამების მოძრაობა“ უწოდეს. როგორც ჩანს, ჩინეთის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ყველა საშუალება კარგია, ოღონდ ემსახურებოდეს მათ მიერ დასახულ მიზანს. მაგრამ შეგვიძლია ვიკითხოთ: რა საერთო აქვს ასეთ მეთოდებს კომუნისტების მორალთან? საბჭოთა კავშირს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ განთავისუფლებულმა ქვეყნებმა, თავიანთი დამოუკიდებლობა რომ დაიცვან, თანამედროვე პირობებში იარაღი კი არ უნდა აიყარონ, არამედ უნდა განამტკიცონ თავიანთი თავდაცვა, ეხმარება მათ ამ სამართლიან საქმეში.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ახალგაზრდა განთავისუფლებულ ქვეყნებს, და არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, ეხმარება მათ დაიცვან თავიანთი ეროვნული ინტერესები. ამ დახმარების გაწევა ჩვენს ხალხს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია. რატომ უკლიან სრული დუმილით გვერდს ჩინეთის ხელმძღვანელები საკითხის სწორედ ამ მხარეს? რატომ იწვევს მათს ასეთ გაჯავრებას ყოველი ხსენება კონკრეტული პრაქტიკული დახმარებისა, რასაც ჩვენი ხალხი უწევს ხალხებს, რომლებიც გაჭირვებაში ჩავარდნენ იმპერიალისტების აგრესიული ხრიკების გამო ან სერიოზულ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიან თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. პასუხი ამ კითხვებზე ეჭვს არ იწვევს. ჩინეთის ხელმძღვანელებმა მიზნად დაისახეს ზიანი მიაყენონ სსრ კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობას ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ისინი ესწრაფვიან ამას თავიანთი განსაკუთრებული ავანგარდისტული მიზნებისათვის, რომლებითაც ნაკარნახევია მთელი მათი ახლანდელი პოლიტიკური კურსი.

ამ კურსს რომ ახორციელებენ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები ცდილობენ რაც შეიძლება უფრო ხმამაღლა იყვირონ თავიანთი რევოლუციურობის შესახებ. მაგრამ ჯერ არ არის ცნობილი არც ერთი შემთხვევა, რომ ყვირილის დაენგრიოს თუნდაც ყველაზე ხუხულა შენობა. მით უფრო ეს შეეხება კაპიტალისტურ წყობილებას. აღმოსავლური სიბრძნე ამბობს: „რომ იყვირო—ხალვა, ხალვაო, პირში ამით სიტკბოს ვერ იგრძნობო“. რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა არა ისტერიული მოწოდებანი, არამედ მშრომელთა მასების მტკიცე წინსვლა, მათი მაღალი ორგანიზებულობა, საჭიროა რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული საქმე იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

* * *

როცა უფრო ახლო გაეცნობი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თეორიებსა და განსაკუთრებით მათს პრაქტიკულ საქმიანობას მსოფლიო ასპარეზზე უკანასკნელ დროს, უნებლიეთ გებადება ეჭვი: მართლაც ასეთი გულმოდგინე რევოლუციონერები არიან, როგორც თავი მოაქვთ? მართლაც ასე ძლიერ აღელვებთ მათ მსოფლიო რევოლუციის ბედი, სხვა ქვეყნების ხალხთა ბრძოლა სოციალიზმისათვის? ფაქტები ცხადყოფენ, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები პირველ ადგილზე აყენებენ არა სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა ინტერესებს, არამედ ისახავენ თავიანთ დიდმპყრობელურ მიზნებს.

განა კარიბის კრიზისის პერიოდში ჩინეთის ხელმძღვანელები კუბის რევოლუციის ბედისათვის ზრუნავდნენ? არა, მათ ეკავათ პროვოკაციული პოზიცია, ამწვავებდნენ დაწყებულ კონფლიქტს, ცდილობდნენ თავიანთი ფრაქციული მიზნებისათვის გამოეყენებინათ კრიზისი და ანგარიშს არ უწევდნენ შედეგებს, რომლებსაც ეს მოუტანდა კუბელ ხალხს.

განა ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო დავაში ისინი ანგარიშს უწევდნენ, თუ რა შედეგებს მოუტანდა მათი პოლიტიკა ინდოეთის რევოლუციურ ძალებს, ამ ქვეყნის კომუნისტურ პარტიას, მუშათა კლასს, მთელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას? არა, ამ შემთხვევაშიც ისახავდნენ თავიანთ განსაკუთრებულ მიზნებს.

განა ახლა, როცა თავიანთ განცხადებაში მოუწოდებენ ხალხებს ანგარიში არ გაუწიონ კონკრეტულ ვითარებას, ანგარიში არ გაუწიონ იმას, რომ მოსალოდნელია თერმოატომური ომი, ფიქრობენ შედეგებზე, რომლებსაც ეს მოუტანდა მსოფლიოს ხალხებს? ყოველივე მოწმობს, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობის ნამდვილი მიზნები სულ უფრო შორდება დედამიწის ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ინტერესებს.

* * *

არ შეიძლება დიდი შეშფოთება არ გამოიწვიოს უკანასკნელი დროის ფაქტებმა, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩინეთის ხელმძღვანელთა აქტიურ ბრძოლას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის ხელშეკრულების წინააღმდეგ და გაფთრებულ თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, რაც ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ბოლო განცხადებაში. ჩინეთის ხელმძღვანელთა განცხადებანი და კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯები ომის, მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, სოციალისტური ბანაკის ერთობის, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხებში მოწმობენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სულ უფრო შორდება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საერთო შეთანხმებულ ხაზს, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პროგრამულ დებულებებსა და პრინციპებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ყოველ ღონეს იხმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ერთობის განმტკიცებისათვის. ამ განცხადებებს ჩვენ საჭირო პრაქტიკული საქმეებით განვამტკიცებდით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩინელმა ამხანაგებმა ყურად არ იღეს ჩვენი მოწოდებანი დასდგომოდნენ უთანხმოებათა ლიკვიდაციის გზას, ჩვენი ურთიერთობისათვის საფუძვლად დაგვედო ის, რაც გვაერთიანებს; ჩვენს პრაქტიკულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით მათ არ დაუჭირეს მხარი.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა გულწრფელად ეწწრაფოდნენ და ესწრაფვიან სოციალისტური ბანაკისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები სულ უფრო შორს მიდიან გათიშვის გზით. უთანხმოებანი, რომლებიც წარმოიშვა ერთი მხრივ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასა და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას შორის, მათ სულ უფრო მეტად გადააქვთ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში. ჩინეთის მთავრობამ მიმართა აშკარა მტრულ აქტებს საბჭოთა კავშირისადმი. მისი საგარეო-პოლიტიკური მოქმედება სულ უფრო ეწინააღმდეგება სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

ჩინეთის ხელმძღვანელობის უკანასკნელი გამოსვლები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ ყურადღებას იქცევენ სხვა მხრივაც. მათ არა მარტო გადააჭარბეს ჩინეთის ხელმძღვანელთა ყველა წინანდელ გამოსვლებს სალანძღავი სიტყვებისა და ღვარძლიანი ეპითეტების რიცხვით, არამედ ამათანავე ამყოვანებენ იმპერიალისტების წინაშე კომუნისტური მოძრაობის საშინაო საქმეებს, სოციალისტური ქვეყნების მთავრობებისა და პარტიების საიდუმლო მიწერ-მოწერას, მომმე პარტიების საერთაშორისო მოლაპარაკებისა და თათბირების შინაარსს.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები უდიერად ხმარობენ სიტყვებსა და გამოთქმებს და გაბოროტებით სწამებენ ცილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის ხელმძღვანელობას, სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელ ორგანოებსა და მოღვაწეებს, განსაკუთრებით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. ყველაფრიდან ჩანს, რომ მათ დაისახეს სპეციალურ მიზნად სახელი გაუტეხონ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებიც პრინციპულ და თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებენ ჩინეთის ხელმძღვანელთა გამთიშველი ხაზის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები გასცილდნენ ამხანაგური, პარტიული დისკუსიის ფარგლებს და ახლა უკვე აშკარად ეწევიან პოლიტიკურ ბრძოლას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ, თავიანთი განსაკუთრებული მიზნებისათვის. სულ უფრო მეტად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად მიაჩნია ის მარქსისტულ-ლენინური პარტიები და მათი ხელმძღვანელები, რომლებიც არ ეთანხმებიან მას.

საბჭოთა ადამიანები გულისწურომითა და აღშფოთებით უარყოფენ ამ უღირს კამპანიას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ.

მთელი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, მჭიდროდ არიან შეკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს. ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრი და გრძნობა გამოხატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა. თავის ვადაწყვეტილებაში მან ხაზგასმით აღნიშნა: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სავსებით და ერთსულოვნად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვის პოლიტიკურ მოღვაწეობას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძალების შემდგომი შეკავშირებისათვის, აგრეთვე ყველა კონკრეტულ მოქმედებასა და ღონისძიებას, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განახორციელა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ურთიერთობაში“.

ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს პარტიას ხანგრძლივი უანგარო მეგობრობა აკავშირებს დიდ ჩინელ ხალხთან და ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან. „საბჭოთა ხალხი, — ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ჩინელ ხალხს ეკიდება როგორც თავის ძმას, მეგობარსა და მოკავშირეს

ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲗᲔᲐᲢᲠᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲚᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲛᲠᲩᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ-ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲮᲛᲪᲓᲐᲐᲗᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲮᲛᲪᲓᲐᲐᲗᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲒᲣᲨᲘᲜ, 23 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲞᲝᲔᲢᲘ-ᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲘᲠᲐᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ. ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲐᲜ, ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ. ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲛᲜᲐᲘᲠ ᲓᲦᲔᲖᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ: „ᲜᲘᲚᲘᲚᲘ ᲮᲐᲜ ᲛᲗᲘᲡᲙᲔᲜ, ᲮᲐᲜ ᲑᲐᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲘᲮᲚᲐᲜᲔᲑᲓᲐ, ᲒᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲗᲐᲡ ᲛᲮᲔ ᲓᲐᲡᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲓᲐ. ᲫᲘᲠᲘ ᲦᲕᲐᲠᲩᲐᲤᲘ ᲥᲣᲮᲡ, ᲛᲐᲦᲚᲐ ᲝᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲜᲩᲭᲔᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲢᲪᲣᲚᲐ“.

ᲨᲣᲐᲦᲠᲘᲡᲐᲡ ᲬᲕᲘᲛᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲝ. ᲑᲝᲓᲑᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲦᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲝᲧᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲮᲡᲜᲘᲡ ᲞᲐᲪᲐᲠᲘᲡᲐᲪᲘᲛᲐᲓ ᲛᲝᲡᲣᲚᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲗ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲘᲪᲕᲔᲓᲐᲗ ᲩᲕᲔᲜ. ᲡᲐᲮᲚᲘ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝᲛᲬᲘᲤᲝᲓ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ ᲓᲦᲔᲒᲜᲐᲚ ᲘᲠ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ, Თ. ᲭᲝᲠᲜᲐᲕᲐ, Ლ. ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲕᲘᲚᲘ, Დ. ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲜᲝᲜᲗᲣᲨᲕᲘᲚᲘ, Დ. ᲡᲣᲚᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲒᲝᲗᲣᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ., ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ ᲮᲚᲑᲚ.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲞᲝᲔᲢᲘ-ᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲘᲠᲐᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ. ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲐᲜ, ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ. ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲐᲛᲐᲒᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ. ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ. ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲖᲔ